საქართველო
სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას ოცდაექვსი წლის თერთმეტ სექტემბერს, მე, ნოტარიუს დიანა სვანაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №109-ში, მომმართა მოქალაქე მარგალიტა დარჩიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობით უფლებამოსილება მიანიჭოს ლია მამრიკიშვილს. აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად მარგალიტა დარჩიაშვილმა (დაბ. 20.11.1965 წ. პირადი № 01030030368, რეგ. ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ გოცირიძის ქუჩა, N 22) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, მან წაიკითხა იგი, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, მარგალიტა დარჩიაშვილი, უფლებამოსილებას ვანიჭებ ლია მამრიკიშვილს (დაბ. 01.01.1984 წელს, პ# 21001012799), ჩემი სახელით იმოქმედოს საქართველოში არსებულ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სანოტარო ბიუროში, სამინისტროებში და მის შემადგენელ სტრუქტურებში, თბილისის მერიაში და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის, ზედამხედველობის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და სხვა ნებისმიერ კომპეტენტურ ორგანოებში. გააკეთოს ჩემს სახელზე არსებულ უძრავი ქონებასთან, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა ნიკოლოზ გოცირიძე # 22 ს/კ 01.16.06.026.004, დაკავშირებით ნებისმიერი სახის სამშენებლო და არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. წარადგინოს და აიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, შეადგინოს პროექტი. მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა, შეათანხმოს გრაფიკი, გადააკეთოს/შეცვალოს პროექტი, მოახდინოს ცვლილებების შეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ყოველგვარი ხარვეზი. გააკეთოს აზომვითი ნახაზი. გადაიხადოს ნებისმიერი სახის გადასახადები; მიიღოს ყველა საჭირო ცნობები, ინფორმაციები, ამონაწერები და დოკუმენტები; მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2027 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი მიეცა მიმნდობს.

გადახდილია საზღაური _ 18.00 ლარი + დ.ღ.გ. 3.24 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, სულ _ 26.24 ლარი, თანახმად `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 და 39 მუხლებისა დასაგადასახადო კოდექსის 166 მუხლის შესაბამისად.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ დიანა სვანაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

06138052126126

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261285458

რეგისტრაციის თარიღი

11.09.2026 წ

ნოტარიუსი: დიანა სვანაძე

მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109

ტელეფონი: +995 599 63 27 05

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18